



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-03/6

12 09 2014წ

დიასპორის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ლოგოს
დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ნოემბრის №284 დადგენილებით დამტკიცებული დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული:

ა) დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ლოგო (დანართი №1);

ბ) დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ლოგოს აღწერილობა (დანართი №2).

2. აპარატის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ლოგოს დამტკიცების შესახებ ინფორმაციის აპარატის საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცნობა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2014 წლის 24 მარტის №01-03-192 ბრძანება.

გელა დუმბაძე

დიასპორის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის

2014 წლის 12 სექტემბრის № 01-03/6 ბრძანების

დანართი №1

დიასპორის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის
ლოგო



დიასპორის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის

2014 წლის 12 სექტემბრის № 01-03/6 ბრძანების

დანართი №2

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ლოგოს აღწერილობა

ლოგო წარმოადგენს ლურჯ წრიულ მედალიონს, რომელიც შემოსაზღვრულია თეთრი კანტით და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დასახელების ქართულენოვანი წარწერით.

მედალიონში ასახულია: 1. საქართველოს **მცირე გერბის** სქემატური გამოსახულება; 2. ანანურის ბარელიეფის ნაწილი – „**სიცოცხლის ხე**“; 3. აპარატის ინგლისურენოვანი დასახელება.

ლეგენდა. „სიცოცხლის ხის“ ღერო განასახიერებს მშობლიური მიწიდან აღმოცენებულ საწყისს, რომლის მტევნებიც არიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული შვილები – თანამემამულეები, ხოლო მტევნის მარცვლები განასახიერებენ დიასპორულ ორგანიზაციებს. ლოგოზე საქართველოს მცირე გერბის გამოსახულება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქართული დიასპორები არიან ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

გამოყენებული ფერები:

1. **ოქროსფერი** – ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფერი;
2. **ლურჯი** – დედამიწის ფერი (მინიშნება იმაზე, რომ ქართული დიასპორები გლობალური, მსოფლიო კონტექსტის განუყოფელი ნაწილია), აგრეთვე მომავლის, იმედის ფერი.
3. **თეთრი** – მშვიდობის, სიმშვიდის ფერი.

მედალიონის **წრიული ფორმა** განასახიერებს, ერთი მხრივ სახელმწიფოსა და დიასპორების ერთიანობის იდეას, მეორეს მხრივ – საქართველოს, როგორც ერთიანი მსოფლიოს, განუყოფელ ნაწილს.